ხელშეკრულება N 92

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „29" 12. 2016 წელი.

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში - „**შემსყიდველი**"), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით და შპს **„ჯითიეს ელექტრონიქსი"** (შემდგომში - „**მიმწოდებელი**"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მაია ლალიაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

GVP 205-ს, F.G. WILSON 190 kva-ს, FG WILSONP220-1-ს და AKSA 550 kva დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. (CPV 50532300)

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **2000.00** (ორი ათასი ლარი) ლარს.
2. ერთი ერთეული გეგმიური ინსპექტირების/დათვალიერების ღირებულება შეადგენს **500.00** (ხუთასი) ლარს.
3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურება (GVP 205-ის და F.G. WILSON 190 kva დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ.თბილისში გორგასლის ქუჩა №16 სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, ხოლო F.G. WILSON 190 kva-ს და AKSA 550 kva დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. რუსთავი, წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე (ოცდამეერთე) კილომეტრი სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სასერვერო);

ბ) განახორციელოს მთლიანობაში დიზელ გენარატორების, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების პერიოდული (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 4-ჯერ, კერძოდ: 1) 2017 წლის 26 იანვარს, 2) 2017 წლის 19 აპრილს, 3) 2017 წლის 23 აგვისტს, 4) 2017 წლის 20 დეკემბერს) ინსპექტირება/დათვალიერება;

გ) წარმოქმნილი პრობლემების ან ხარვეზების აღმოსაფხვრელად (დღე-ღამის ნებისმიერ დროს) დაუყოვნებლივ განახორციელოს შემსყიდველის ტექნიკური მხარდაჭერა დისტანციურად (ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით), ასევე წარმოქმნილი პრობლემების ადგილზე აღმოფხვრის გზით;

დ) წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება დაიწყოს შეტყობინების (მათ შორის სატელეფონო შეტყობინების) მიღებიდან არა უგვიანეს 6 (ექვსი) საათისა;

ე) ნებისმიერი სახის ტექნიკური პრობლემა აღმოფხვრას (რომლის აღმოფხვარასაც არ სჭირდება სათადარიგო ნაწილის შეცვლა), შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) საათის განმავლობაში;

ვ) ყოველი გეგმიური ინსპექტირების თუ ავარიული გამოძახების შემდეგ 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში, განახორციელოს შემსყიდველისათვის წერილობითი ანგარიშის მიწოდება და მასში ინსპექტირების შედეგების/დასკვნების, შესრულებული სამუშაოების, დაზიანებული ან/და ჩასანაცვლებელი სათადარიგო ნაწილების დეტალური აღნუსხვა, ასევე მთლიანობაში დიზელ გენარატორების და მისი ცალკეული კომპონენტების მწყობრიდან გამოსვლის თავიდან ასაცილებლად ზოგადი რეკომენდაციების გაცემა;

ზ) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში მიმწოდებელი პასუხისმგებელია დიზელ გენარატორების ტექნიკურ გამართულობაზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ტექნიკური გაუმართაობის აღმოსაფხვრელად საჭიროა სათადარიგო ნაწილის შეცვლა და აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად შემსყიდველისთვის მიწოდებული აქ შესაბამისი ინფორმაცია.

თ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, შეტყობინებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში;

ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის შეუფერხებელი დაშვება დიზელ გენარატორებთან.

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ ტექნიკური მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკური პირობების შექმნა;

გ) განახორციელოს როგორც მთლიანად დიზელ გენარატორების, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების ექსპლუატაცია, დიზელ გენარატორების ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების და მიმწოდებლის მიერ გაცემული რეკომენდაციების მკაცრი და უპირობო დაცვით;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდზე.

2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი (ასევე სხვა საშუალებით) შეტყობინებიდან არა უგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა გამოასწოროს წუნი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

1. მომსახურების მიღება განხორციელდება ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პერიოდულობით, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერის საფუძველზე.

2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **ჯაბა ხმალაძე**.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ (აღნიშნული შეტყობინება უნდა იყოს დასაბუთებული). შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით, ასევე მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელზე მე-10 მუხლის, პირველი და მეორე პუნქტის საუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების (გასაწევი მომსახურების ღირებულების) 10%-ს, ხოლო ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს.

4. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16;
ტელეფონი: 2261072, 2261095;
საბამკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204577813

მიმწოდებელი

შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი"
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ N35,
ტელეფონი. 2 710 800,
საბამკო რეკვიზიტები სს „ვითიბი ბანკი"
ბანკის კოდი UGEBGE22, ა.ა GE28VT0400108014803602,
სკ-205029351,